სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080169401612322

№ 2891

13 / სექტემბერი / 2022 წ.

შპს „ნ.გ. პროჯექტ გრუპ“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობა;

ტენდერის ნომერი: NAT220005266;

შესყიდვის ობიექტი: 71300000 – საინჟინრო მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „ნ.გ. პროჯექტ გრუპ“ (ს/ნ: 405231360);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 8 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობის 2022 წლის 8 აგვისტოს № 39-01222202659 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №6072), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ნ.გ. პროჯექტ გრუპ“-ის (ს/ნ: 405231360) მიერ NAT220005266 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 8 აპრილის № 2.9.18/30/042 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის g-chumbadze@mail.ru მეშვეობით, 2022 წლის 9 აგვისტოს № 2631 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 8 აპრილს, NAT220005266 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობამ და შპს „ნ.გ. პროჯექტ გრუპ“-მა (ს/ნ: 405231360) გააფორმეს № 2.9.18/30/042 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც,

მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა გაეწია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2022 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 6 490 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 დეკემბერი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 20 მაისის №39-01221401872 წერილით, მიმწოდებელს მოეთხოვა პროექტის კორექტირება და პროექტში რიგი ფაქტორების ასახვა.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 23 მაისის № 39-01221433465 წერილის მიხედვით, პროექტის კორექტირება არ განხორციელებულა. ამავე წერილით, მიმწოდებელს კვლავ ეთხოვა კორექტირებული პროექტის მიწოდება 2 კალენდარული დღის ვადაში და მიეცა გაფრთხილება.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 12 ივლისის №39-01221931972 წერილის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის გაგზავნილ პროექტის ნახაზებს აკლდა სპეციფიკაციები. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა საკითხის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 1 აგვისტოს №39-01222132758 წერილის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის 2022 წლის 12 ივლისის № 39-01221931972 წერილით მოთხოვნილი სპეციფიკაციები არ მიუწოდებია. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა ნახაზების სპეციფიკაციების გაგზავნა და მიეცა გაფრთხილება.

4.6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების ხელმძღვანელის 2022 წლის 5 აგვისტოს № 39-0122217904 მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის კორექტირებული დოკუმენტაცია არ მიუწოდებია.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 8 აგვისტოს № 39-01222202252 წერილით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელს ეცნობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ნ.გ. პროჯექტ გრუპ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის

სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ხოლო, საქმეში არსებული მასალების თანახმად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ნ.გ. პროჯექტ გრუპ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ნ.გ. პროჯექტ გრუპ“ (ს/ნ: 405231360) 2022 წლის 14 სექტემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/მტკიცდასმულია ელექტრონულად ხარიტონ შალამბერიძე